



პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 5 20 0001209088



17/12/2020

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) იღებს გადაწყვეტილებას პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, თუ აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება:

2020 წლის 03 აგვისტოს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა წარმოადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში № 3/105 (ცენტრში რეგისტრაციის № 748874) წერილი, რომლის მიხედვითაც დაწესებულების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართის სკოლამ 2020 წლის 30 მარტის სხდომაზე (ოქმი #5-01/05) იმსჯელა და გადაწყვეტილება მიიღო „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის გაუქმების შესახებ.

3. სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას გაუუქმდეს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად საბჭოს 2020 წლის 17 დეკემბრის №1208478 სხდომის ოქმის №1 ნაწილი.
3. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2020 წლის 17 დეკემბერს.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და №1208478 ოქმის ცენტრის ვებგვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლორია ხათუნა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კასრაძე იზა

